



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49211183

თარიღი:28/04/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 21

ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩა №2-ში მდებარე შენობის (საკ.კოდი N29.08.33.031) პირველ და მეორე სართულზე განთავსებული 803.3 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარით 12 წლის ვადით, შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ოცნებისათვის“ გადაცემის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4821112107; 22/04/2021) წერილი, რომელშიც შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ოცნება“-ს დირექტორის წერილის საფუძველზე ითხოვს თანხმობას ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩა №2-ში მდებარე შენობის (საკ.კოდი N29.08.33.031) პირველ და მეორე სართულზე განთავსებული 803.3 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარით 12 წლის ვადით შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ოცნებისათვის“ გადაცემის შესახებ. წერილში ასევე აღნიშნულია, რომ მითითებული ფართი განმცხადებელს გადაცემული ჰქონდა 2011 წლიდან სკოლის ფუნქციონირებისათვის და დღემდე ის კეთილსინდისიერად ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, 2021 წლის 18 მაისის შემდგომ, შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ოცნება“-ს, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარით 12 წლის ვადით, გადასცეს ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩა №2-ში მდებარე შენობის (საკ.კოდი N29.08.33.031) პირველ და მეორე სართულზე განთავსებული 803.3 კვ.მ. ფართი.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11)

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

